

კრედიტის: სოლოლოკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію „Дროზბა“.

გაზეთის ღირსი: მთავრის წლისა— 8 მ., ნახევარ წლისა— 5 მ., ხანის თვისა— 3 მ., ერთი თვისა— 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ზასი განცხადების: დღისათვის ებით ასოზე 1 კაპ. ჩვეულებრივს ცი-ცეროთი— 5 კაპ., პატარათი— 4 კაპ

კრედიტის უზღვრა აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

განცხადება

მაჰმდ კატივი განუცხადო თვითის კატივიმეზულ ვაჭრებს, რომ მე მოვიტანე პარიჟიდან ყოველ გვარის საჭონის ნიშნუხები, რომელთაგანაც პირველი ჯაქაზებს კარგის პირობებით.

მსურველთ უმუხლიანთ ნახონ ეს ნიშნუხები უ. არწრუნის ქარვასლაში- № 181, სადაც იმხმება გამოსანილი მოკლე ხნით. პარიჟის შირმა: Gilles et Iohan Chandons.

წარმომადგენელი ზ. იეზოვი. (12—11)

ნახევარი წლის ხელის-მოწერა „დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადრეის) ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію газ. „Дროზბა“.

ზასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდან წლის დამლევამდინ, გაგზავნილი—ხუთი მანეთი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ტირნოვო (ბოლგარია), 28 ივნისს. ბუშინდელი გაჩაღება ქალაქისა, ბოლგარიის მთავრის მოსვლის გამო, უბედურათ გათავდა: ერთს ქალაქის უბანს წაეკიდა ცეცხლი და ას-არმოც-და-ათამდინ სახლი გადაიწვა; რამდენიმე კაციც დაიწვა და ძალიან ბევრი ცხენები.

წილის ცხა საათზე მთავარი ალექსანდრე წავიდა სობოროში; იმას დაუხვდა იქ მოხუცებული ეგზარხოსი ან-ფიმი, რამოდენიმე მიტრაპოლიტი და სხვა სამღვდელო პირნი; მცირე მოვლენა მოისმინა აქ, ემთხვია ჯვარსა და წავიდა ნაციონალურს კრებაში, სადაც

მიიღო ფიცი იმ რიგად, როგორც ბოლგარიის კონსტიტუცია თხოულობდა. შიცის მიღების შემდეგ უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა მიულოცეს მთავარს. შანგარიშო ხალხი, რომელიც პრების სადგომის წინა ქუჩებში მოგროვილიყო, აღტაცებით მოეგება თავის ახალ მთავარს. პრებიდამ რომ გამოვიდა, მთავარს ძალიან მოწყენილი სახე ჰქონდა. მთავარი პრებიდამ შინ წაბრძანდა. შიცის ცერემონიამ ნახევარ საათს გასტანა.

ნაციონალურ კრების დეპუტატები ჯერ გაჰყენენ მთავარს, მერმე ისეც დაბრუნდნენ პრებაში და დაიწყეს ამორჩევა ორი დეპუტაციისა, რომელთაგან ერთმა უნდა გამოუცხადოს, ბოლგარიის ხალხის მხრივ, მადლობა მთავარს ალექსანდრესა და მეორემ რუსის კომისარს თ. დანდუკოვ-პარსაკოვს. თ. დანდუკოვ-პარსაკოვი ცდილობს, რომ თავი-დამ აიცილოს ყოველი აღტაცებისა და ოჯაციების გამოცხადება ხალხისაგან ყველა ეს ახლა მთავარს ალექსანდრეს ეკუთვნისო.

პარიჟი, 27 ივნისს. მინისტრების რჩევამ მარშლებს: მაკ-მაგონს, პანრობერს, ლებეფა და აღმირალ ბრავიერს არ მისცა ნება ჩაზღვორსტში წასვლისა პრინც ნაპოლეონის დასაფლავების დროს დასასწრებლად.

ტირნოვო, 28 ივნისს. ბოლგარიის მთავარმა დახედა გადამწვარი უბნები ქალაქისა და დაზარებულების სასარგებლოდ 200,000 ფრანკი შესწირა; დეპუტატებმა 30,000 ფრანკი შესწირეს.

პრონოვო, 28 ივნისს. ხომალდს „ლაზარეზე“ სამხედრო ლაღუმმა იფეთქა და 22 კაცში 19 მოკლა, სამი კი გადარჩა.

ტირნოვო, 28 ივნისს. შიცის მიღების დროს ბოლგარიის მთავარს რუსის დენერლის ბუნდირი ეცა. ბოლგარიულად წარმოსტევა ფიცი.

მერსალი, 27 ივნისს. დეპუტატების პალატამ სრულიად მიიღო და დაამტკიცა ჭერრის პროექტი სახალხო განათლების შესახებ. ქენჭის-ყრის დროს პროექტს 352 თეთრი ამოუვიდა და მხოლოდ 159 შავი. შემდეგ პალატა სახელმწიფო ბიუჯეტის (შემოსავალ-გასავლის) განხილვას შეუდგა.

პეტერბურლი, 29 ივნისს. „მმართველთა“

ლობის მოამბეში“ დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც მთელს რუსეთში უნდა გაიბართოს ხელის-მოწერა ტირნოვსა და ირკუტსკში გადამწვარ მცხოვრებთა სასარგებლოდ.

სტამბოლი, 27 ივნისს. სულთანმა სატახტო ზალაში მიიღო ბოლგარიის მთავარი და გამოუცხადა იმას თავის მწუხარება, რომ, რადგან ამჟამად სტამბოლის ხალხი აღელვებული არისო, ამის გამო როგორც იმის დროსებას შეეფერება, ისეთის ოფიციალურის პატივით ვერ დაუხვდა. ხონთქარმა ურჩია მთავარს, ეცადოს, რომ ერთობა და თანხმობა დაამკვიდროს ბოლგარიის ქრისტიან და მაჰმადიან მცხოვრებლებს შუა; ამისთვის ყველაზე უფრო საჭიროაო, სტევა ზონთქარმა, რომ თქვენ მაჰმადიანების უფლებანი და კანონიერი მოთხოვნებიანი შეიწყნაროთო.

ლონდონი, 28 ივნისს. ინგლისის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრმა სალისბერიმ სტევა, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვები კონსერვატორების ბანკეთზე: „ბერლინის ტრაქტატის უმთავრესი მუხლები სისრულეში არის მოყვანილი; ყველა უცხო სახელმწიფოები თავის საკუთარ შინაგან საქმეებზედ ჰფიქრობენ; ყველას მშვიდობიანობა ჰსურს. მაგრამ ახლანდელი მშვიდობიანობა არის დასვენება და ომისათვის მომზადება არის საჭირო.“

პეტერბურლის ბირჟა, 26 ივნისს

(ხალხთა შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის	— 95—12
მეორე — — —	— 95—
მესამესი — — —	— 94—87
მეოთხესი — — —	— 94—87
აღმოსავლეთის პირ.	— 92—50
აღმოსავლეთის მეორე	— 92—25
აღმოსავლეთის, მესამე	— 92—12
ოქრო, $\frac{1}{2}$ იმპერიალი	— 8—35
ოფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი	— — —
შინაგანი 5% სესხის ბილეთები	მან. კაპ.
პირველი სესხის	— 239—
მეორე სესხის	— 235—75
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი — —	23—74 პენსი



ამსტერდამი — 119—75 ცენტი
ბერლინი — — 202—75 ჰენრიგი
პარიზი — — 250—50 სანტიმი
ძაგასიის კერასინი — „ —

საქართველო

დღიური

* ჩვენს მოგზაურს ტრუპას ორი წარმოდგენის შემოსავალი ბორში, როგორც გეწერენ, 350 მანეთზე მეტი ჰქონია. ბორის საზოგადოებას ამათი თამაში მეტად მოსწონებია და უთხოვნიათ, დაბრუნებისას უეჭველად ითამაშეთ კიდევაც.

მაგრამ მუთაისის პირველი წარმოდგენა (გასულ პარასკეის), როგორც გვითხრეს, კი ვერ წასულა კარგათ; აქაც „პეპო“ და „ბნელ ოთახში“ უთამაშნიათ, მაგრამ ორივე პიესა თითქმის გაუფუჭებიათ.

* ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ მოხსენებული, რომ ბორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელმა უფ. სოფრომ მგალობლიშვილმა გადმოაკეთა რუსულიდან საყმაწვილო საკითხავი წიგნი — „შესანიშნავი ბავშვები“. მთარგმნელი გეცნობებს ახლა, რომ ამ წიგნში სულ ექვსი ისტორიული მოთხრობა არის შესანიშნავს ბავშვებზე; თარგმანი სულ მშათა მაქვსო; მაგრამ, საუბედუროთ, მე შეძლება არა მაქვს დაბეჭდვინო და გამომცემი კი არაფერს მყავსო. ამისგანომ ის გეტხოვრებს გარემოება საქვეყნოდ გამოცეხადოთ, რომ იქნება ვინმე მსურველი გამოჩინდეს ამ წიგნის გამომცემისა.

მკოდნე კაცებისაგან, რომელთაც ეს წიგნი უნახავთ, გავივიტა ჩვენ, რომ ის სასარგებლო რამ იქნება ყმაწვილების საკითხავათაო, და ამის გამო სასურველია, რომ ან „საქართველოში“ წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, ან სხვა ვინმე კერძო პირმა იკისროს ამ წიგნის შეძენა ჩვენი ღარიბი პედაგოგიური ლიტერატურისათვის.

* ჩვენ მივიღეთ ბორიდან, გაზეთში დასაბეჭდათ, შემდეგი შენიშვნა, რომლის პასუხის-გებაც თვითონ ავტორზე მივიწვდით:

„ამ მოკლე ხანში ქ. ბორში ბოროდოვოი უპრავლენიაში ვნახე, რომ ძალიან ბევრი ხალხი იყვნენ და მათგანს მეტ ნაწილსა საქმე ჰქონდათ ბორის სტაროსტას უფ. დავიდოვთან, რომელსაც, საჭიროებისაგან ძალდატანებულნი, ეხვეწებოდნენ და ეღრიჯეგოდნენ; მაგრამ, როგორც ვეცუობოდა, ვისაგანაც სარგებლობა არა ჰქონდა-რა, არაფერს ყურადღებას არ მიაქცევდა ხოლმე. რამდენიმე მათგანმა შემომჩივლეს, რომ, როგორათაც უნდა, ეს უფ. სტაროსტა ისე ეპყრობა და აწუხებს ხალხსაო და არც არაფერს ყურადღებას არ აქცევდა არ იქონიებს ხოლმეო.“

„ამბობენ, რომ ამ უფ. დავიდოვს ისე დაბრეყებული ჰყავს მთელი უბრა-ვა, რომ რასაც უნდა, იმას შერება; ან გალავა ვინ არის ამასთან და ან ჩლენები...“

„მაგაზნედ არის ქართულათ ნათქვამი: „თხა რომ სამგლეთ გახდაო, იმის საქმე წახდაო!“

ივანე ჩხიკვიშვილი.

* ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ცალკე წიგნათ გამოცემული პატარა ბროშურა, სახელად „პირველი პრეტესისი „მზორისა“ — სრული ანგარიში თფილისის მღკის სასამართლოსა და სამოსამართლო პალატის სხდომებისა.“

მოგესხენებათ, რომ ეს საქმე ასტეხა თფილისის ცენზურის პოპიტეტმა იმისთვის, რომ „მზორის“ რედაქტორმა დაბეჭდა რამდენიმე ადგილი ცენზორისაგან აღქმადიულის სტატიებისა; მოგესხენებათ აგრეთვე, რომ როგორც მღკის სასამართლომ, აგრეთვე პალატამ გაამართლა უფ. რედაქტორი „მზორისა“; იმის გასამართლებელი სიტყვა, განსაკუთრებით პალატაში წარმოთქმული, ჩინებული სიტყვაა, რომელშიაც გამოხატულია როგორც ადგილობრივ დრო-გამოშვებითი ლიტერატურის შევიწროებელი მდგომარეობა, აგრეთვე ის აზრი — თუ რამდენად უადგილო და მიხნისათვის გამოუდგარია როგორც მთავრებისა, ისე საზოგადოებისათვის ამ ნაირ მდგომარეობაში ჩაყენება, ამნაირად შევიწროება ჟურნალისტიკისა. მართის სიტყვით, ამ სიტყვაში თამამად, მხნედ არის გამოთქმული ის აზრები ბეჭდვის თავისუფლების შესახებ, რაც სამზღვარ გარეთისა და ჩრქეთის ლიტერატურაში არა-ერთხელ გამოთქმულა, მაგრამ ჩვენში კი პირველად გამოითქმის...“

თვითონ გამოცემა ამ ბროშურისა ჩინებული რამ არის: იმის ყდა, ვისაც სტამბის ხელოვნებაში რამე ესმის, უეჭველია, ძალიან მოეწონება, ისე ლამაზად და შნოიანად არის სათაური შეხვეებული.

„დროშის“ კორესპონდენცია

ბორი, 27 ივნისს. წარსულ კვირეში დავარდა ხმა, რომ ქართული ტრუპა მოვა ბორშიო. დიდის სიამოვნებით მოვლოდა საზოგადოება. მოლოდინი აგვიხდა:

შაბათს 23-ს ივნისს მოვიდნენ აკტიორ-აკტირისები და მეორე დღეს კვირას იყო პირველი წარმოდგენა.

პირველად წარმოდგინეს „აყალ მაყალი ცოლქმარს შუა“, „ბნელ ოთახში“ და „სხვა რიგი სიყვარული.“

შმათერესი როლები ჰქონდა საფაროვის ქალსა. მანჭიერი, მართლაც საქებური აკტირისა, სწორედ ვოდვილის-

თინ ყოფილა გაჩენილი. პრშიყს, ფუჭს, პრანჭია, ძალილი საზოგადოებას ქალს, ეს ნიჭი რა აკტირისა საეცხაოვოდ წარმოადგენს, რაც დაგვიმტკიცა ზეზო მოხსენებულ ვოდვილებში თამაშობით. „ბნელ-ოთახში“ „ზავედენკა“ ისე საუცხოვოდ წარმოადგინა, რომ კაცი ვერ იფიქრებდა თუ ეს საფაროვის ქალია და არა ზავედენკა.

მეორე წარმოდგენა იყო სამშაბათს, 26 ივნისს. წარმოდგინეს „პეპო“ სუნდუკიანცის კომედია. ამის წათმოდგენა-ზედაც ხალხი კარგა ბლობად წავიდა. შფრო ბევრი მივიდოდა ხალხი, მაგრამ საშინელმა თქეშმა და ნიაღვარმა დაუშალა. საშინელი აღბეჭდილება იქონია ხალხზე, ე. ი. ბორის საზოგადოებაზე, ამ პიესამ. პეპოს სიტყვები ბევრა მოხვდა, ბევრი ზამზიმოვების სინილისი დაიწვა. ჩემის ყურით გავიგონე ერთი გორელი ზამზიმოვის საყვედური პიესის უხეირობაზე!

„ლოვებს“ ვერაფრად მოსწონდა „პეპოს“ წარმოდგენა. ჩვენ, გორელები კი კინალამ დავგიჟდით. რათ მოგვეწონა ასრე ძრეილ, არ ვიცით. იმიტომ თუ, რომ ხამათ ვიყავით, იშვიათად ვხვდებოდა წარმოდგენას ხეირიანი პიესისას..“


ზამზიმოვი (პაშაძე), ბაქო-შაფიანი, ძაკული-ცაგარელი, — ესენი სწორედ რომ მოსაწონი იყვნენ. მასაოცრად წარმოდგინა პაშაძემ მესამე მოქმედებაში. იქისი კანკალი, ჯოჯოხეთური აღმურა სახეზე, სენილისის ქენჯნა პეპო ყვედრების გაშო, რომელიც გულ-გვამა უხერტდა ზამზიმოვს, სწორედ საშინელი იყო წარმოსადგენად. პუბლიკა სხვა მოქმედ პირებს ყურს აღარ უგდებდა და სულ გიძახოდა: „—ღედავ, ღედავ! შეხეთ ერთი პაშაძეს, რა საშინელებაა მაგის ცქერაო.“

ძარგი იყო შაფიანიც, საუცხოვო მიხვრა-მოხვრა აქვს მაგ ჩვენ დაუდგროველ მშრომელს თეატრის საქმისას. ამ მიხვრა-მოხვრით სრულიად ჰფარავს ის სხვა ნაკლულევენებას.

უფ. ცაგარელმა ძაკულას როლი ჩინებულად წარმოდგინა, სწორედ განხორციელებულ კინტუა იყო: ენა, მიხვრა-მოხვრა, ქცევა, მარტივად ძმურის სიყვარულის გამოხატვა, — სულ კინტოური იყო. ამ ახალგაზდა ნიჭიერმა კაცმა ძალიან იმოქმედა პუბლიკაზე. ია გადაჭარბებული გრენვა ტანისა აღარა ჰქონდა, რომელზედაც „ლოვება“ აძლევდა შენიშვნას. მტყობა უქარგებლნია ამ ახალგაზდას, რომელსაც ბრწყინვალე მომავალი მოვლის.

პეპო (უ. მაჩაბელი) პირველ მოქმედებაში სწორედ უნდა ითქვას მოსაწონი იყო. მართათიანი შემოსვლა, ძაკულასთან ბაასი, ბოლოს მონოლოგი ლაზათიანად გაათავა. საზოგადოდ ამ წარმოდგენაზე მაჩაბელი ბევრით კარგად ადგენდა პეპოს როლსაო, ვინემ თხილისში, როგორც დამარწმუნეს საწლო პირებმა, რომელთაც ენახათ თხილასში მაჩაბელი პეპოს როლში.

ძალებიც საუცხოვოთ თამაშობდნენ. საფაროვის ქალი ძალიან გულითათ-



ეკიდება საქმეს; როლის გაგება ძალიან გაუფარჯიშებია. სუფლიერს ქალი ძალიან შეღავათს აძლევს, მაგრამ შაბუნისას ქალმა კი სულ თითები დამტვრევინა საწყალს სუფლიერს. ანხნლ, კაპასს, გულ-დამწვარ ბებერს, ქერივს ღვდა-კაცს გვარიანად ადგენს, მაგრამ გასაოცარი ხასიათი ჰქონია მაგ დალოცვილს: გაათავებს თუ არა თავის სალაპარაკოს, ანებებს თავს სხვის მასთან ბაასს და ათვალთვრებს პუბლიკას; ამის გამო ხშირად სჭირდება სუფლიერს მისი დავიწყებიდამ გამოყვანა. შესანიშნავნი არიან ამიტომ საფაროვისა, შიფანი, ბაშიძე, საგარელი, მაჩაბელი, რომლებიც ყურს უგდებენ მობაასეს და მიხვრა-მოხვრას მისდა შესაფერად ცეკლიან. „პეპოში“ საგარელი ისეთის მრისხანის თვალთ უყურებდა არუთინას, თითქო მისი შეჭმა სურსო, თითქო უნდა ეს-ეს არის ეცეს და გაგლიჯოსო. მა კარგი ღირსება აკტიორისა, რომელიც შაბუნისას ქალს აკლია. ამ შემთხვევაში ქველა (ძორენტლისა) მოსაწონი იყო. არუთინას ბიჭებში სამსონა—უფ. შიფშიძე ისე საუცხოვე იყო, რომ რამდენჯერმე გამოუძახეს.

პუბლიკამ დიდი თანაგრძობა განუცხადა ახალ, ნორს ტრუპას. შევლაფერში ხელი მოუშარათა. ამ შემთხვევაში, უნდა სწორედ სთქვას კაცმა, უფ. ალ. მთუთაევმა დიდი ამაგი დასდო ტრუპას: უმოვა სახლი უქირაოდ, სკამები, მუშები. ძვირა ღამეს, წარმოდგენის შემდეგ უფ. მთუთაევს ჰქონდა ვახშამი. მომქმედნი პირნი პირ-და-პირ მივიდნენ. აქ იყენენ გარეშე პირნიც, რომელნიც სულით და გულით თანაუგრძობენ ქართული თეატრის საქმესა.

მეორე დღეს სადილოთ იყენენ უფ. მ. ძერესელიძესთან. ამ სადილ-ვახშობაზედ ძმური სიყვარულით გამოთქმას, მცხარე ბაასს, „რჩებებს“ არა ჰქონდათ დასასრული.

მისურვებთ, რომ ჩვენ ახალ ფეხ-ადგმულ ტრუპას, ახალ დაფუძნებულს თეატრს მისცემოდეს ფართო გზა, წარმატება, როლიც დამოკიდებულია ტრუპის მუყაათზედ, სვინიდიანად საქმის წაყვანაზედ; საჭიროა, რომ ძმურად მოჰკიდონ საქმეს ხელი, რომ შფოთი და აყალ-მაყალი არ შეერიოთ, ზნეობითი მხარე თვისის ცხოვრებისა მტკიცედ დაიცვან, რომლებიც ასე დასდევენ ყველა ქართველების მიერ საქმის დაწყობას.

დღეს ჩვენი ტრუპა ბოროდვან გამგზავრდა ქ. შუთაისს, სადაც რამდენიმე წარმოდგენას მისცემს და მერმე ისევ ქ. ბორში დაბრუნდება. სინარულით მოველით, სინარულით მათს მალე დაბრუნებას!

მითი მაყურებელთაგანი.

სა დიდი ღირსეულობა აქვს ამ ჩვენ პატარა ქალაქის მცხოვრებლებისაგან ასე, რომ რა წამს ქალაქის ფოშტამოვა, დიდი თუ პატარა, რომლებიც მიმდებნი არიან თქვენი ვაზეთისა, მოუთმენლოთ ფოშტისაკენ მიიქარებიან.

მიიღებენ ვაზეთსა თუ არა, კიბხულობენ დიდის გულ-მოდგომით ყოველ წერილსა, რადგანაც არას გასაგონ ენაზედ. შოჩია მოსვლის დღეს ნახავთ ალაგ-ალაგ შეკრებულ ხალხსა წამკითხველის გარს შემორტყმულთ, რომლებიც დიდის სურვილით ყურს უგდებენ წამკითხველსა უქეტესად იმ წერილებსა, რომლებიც იგზავნება ხოლმე აქედამ. ხშირად გააგონებთ ამ გვარ სიტყვებსა: „ბიცხონდა მამა, დამწერო, რომ ასე ჭეშმარიტად დაგიწერია!“

პირ-უთნელად მოგახსენებთ, რომ თქვენი ვაზეთი ბევრი აქაური მცხოვრებლებისათვის ნამდვილი კეთილი-მოქმედობის სარკე გამდარა, ბევრმა მყურებელმა მოიშალა თავისი მანწევარი ხასიათი, რადგანაც დაინახა თავისი ქუჭყიანი სახე საქვეყნო სარკეში.

მაგრამ ზოგიერთი კი ვერ მოტყდა, არ მოიშალა თავისი ხასიათი. აი სექვე რაში მდგმოიარობს:

მაგონილი გექნებათ მოვაჭრეების საქმე, რომ ბევრნი მათგანი, უფულობის გამო, პირს ირცხვენენ, ვალებს იღებენ, იმისთვის რომ ვაჭრობა დაიწყონ, რომლითაც შეიძლონ თავიანთ სახლობის შენახვა. მაგრამ რა ქნას იმ ღარიბმა მოვაჭრებმა, რომლისაგანაც ზოგიერთ პირსა მიაქვს საქონელი ნისიათ და შემდეგ აღარ უნდა მიცემა, მაგალითათ ამ ჩვენ ქალაქის ზოგიერთ ჩინოვნიკებს! მოვლენ, ივაჭრებენ, აიღებენ ნისიათ, ფარისეულათ თავს მოულაქუტებენ, ჰპირდებიან რამთენიმე დღე ვადას; მოვაჭრეც რწმუნდება იმის სიტყვებზედ, ეძლევა იმედი და თავის-თავათ ფიქრობს: „ჯამაგირის მიღებისავე მივიღებ ნისიას,“— მაგრამ თქვენ არ მაიკვდეთ, ბევრი ვადები გაივლის, რომ ვაჭრებს არა ეშველებათ-რა. ცალკე სთხოვ, გპირდება— „მოგცემო,“ ხალხში სთხოვ, კიდე ფენებს გიბრახუნებს და სულ უარზე დგას, თანაც გეშუქრება... შიველებ, სამართალი იმათ ხელშია, გაგიგრძელებენ საქმესა და „ზავტრას“ ყოველ დღე არ მოგაკლებენ.

ამისათვის სასასრებლოთ ვარჩიე თქვენ შეგატყობინოთ თუ ჩემი და თუ აქაური ჩემსაებრ მოჩივარე ღარიბი მოვაჭრეების დარდები, რომ მისცეთ ღირსეული ალაგი თქვენ პატივცემულ ვაზეთში გამოსაცხადებლათ, რომ ეგები ამით მაინც რამ გვეშველოს *).

მინე ვაჭარი.

სიღნაღი, 26 თიბათეს.

*) მკითხველი ნუ იფიქრებს, რომ ამ წერილის დაბეჭდვით, ჩვენ სიღნაღის ვაჭრების მხარე დავგვიჭრას; მაგრამ ნურც იმს იფიქრებენ, რომ იქ ური ჩინოვნიკები, ამ შემთხვევაში, ღირსნი არიან ჩვენის თანაგრძობისა..

ქართული მწიგნობრობა უხსოვრად

ამას წინათ იყო მოხსენებული ჩვენს გაზეთში, რომ სტამბოლში იბეჭდება ქართული წიგნებიო, იყო მოყვანილი სიაც ამ წიგნებისა.

ამ დღეებში ჩვენ მივიღეთ სტამბოლიდამ ყველა იქ დაბეჭდილი წიგნები და ამასთანავე წერილი, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ არათუ მართო სტამბოლში ყოფილა ქართული სტამბა და იბეჭდება წიგნები, არამედ საფრანგეთშიაც, ქალაქა მონტობანში. ჩვენგან მიღებულს წიგნებში ურევია ერთი, რომელიც ამ უკანასკნელს ქალაქში არის დაბეჭდილი.

მაშომცემელნი გვთხოვენ დაბეჭდოთ „დროებაში“ სია ამ წიგნებისა და ამასთანავე „სიტყვა წამკითხველისადმი“. დიდის სიამოვნებით ვასრულებთ ამ თხოვნას და დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ სიას; შემდეგში დაბეჭდავთ „სიტყვას“ და მერე ჩვენც გამოვთქვამთ ჩვენს აზრს საზოგადოთ ამ გამოცემების შესახებ.

აი ეს სია:
ქართული წიგნები, რომელნიც ისყიდებიან შრანციაში ქალაქს მონტობანს მონასტერში მონაზონთა ერთობისაგან მონათა უმანკო შთასახებისათა და ესრეთვე ძოსტანდინე-პოლს ჩინილი ხანში ჰოქოციანის მალაზიაში, ნუმერო 5, და ძალათას სეღბოს ხანში მხითარისტების წიგნის მალაზიაში, ნუმერო 4.

ა. წინამძღვარი ზეციისა გინა ყოველი წოდების სახმარად სულიერი დარიგებანი, შედგენილი ალემანურად თავადის შვილი მღვდელი ალექსანდრე ჰოენლოვსაგან. 40 კაპ.

ბ. მზაცხოვრებისა გინა განხრახვანი საუკუნო ჭეშარიტებათა ზედა სახმარნი მღვდელთათვის საქადაკებლად და ერის კაცთათვის საკითხავ წიგნად და ფიქრის ლოცვის შესასრულებლად, შედგენილი ნეტარელისა ალფონსო ლიგორისაგან. 50 —

გ. სიბრძნე კაცებრივი რომელიც ასწავლის კაცს ჭკუვის რიგინ ხმარებასა, სრულს კაცს გახდის და მისწვეს სიმდიდრესა. შემკობილი ცხოველი მაგალითებითა და სახელოვანი პირების და ბრძენი ფილოსოფოზების სიტყვებითა. 70 —

დ. ბრძენი კაცი გინა რომელიმე ძველი ფილოსოფოზის მიერ მოცემულნი მშვენიერნი სწავლანი სიბრძნესა და ზნეობასა ზედა. 40 —

ე. მოკლე ქართული გრამატიკა სასოფლო შკოლების ყრმათათვის ახლად შედგენილი. 30 —

ვ. ხელად სახმარი მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება ყმაწვილ კაცთათვის. 40 —

ზ. მოკლე ფილოსოფია გინა სიბრძნის მოყვარება, რომელი შეიცავს ფსიხოლოგიას, ლოლიკას, ზნეობს და საღმრთო მართლ-მსაჯულებას მალს სწავლაში გარდაასეღვლთ ყმაწვილთ

წერილი რედაქტორთან

შეალო რედაქტორო! უნდა ჭეშმარიტად მოიხსინოთ, რომ თქვენ გაზათ-



ს. შიხიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიკებრივი მოკლე გეოგრაფია სასოფლო შკოლებსათვის. 35 —

თ. მოკლე მსოფლიო გინა საყოფლიერო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესაეთა. რომელი მოსთხოვს უმთავრესთა საქმეთა და შემთხვევათა მოხდენილთა კაცობრიობასა შინა, დასაბამიდან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, განყოფილი ექვს ნაწილად. პირველი ნაწილი შეიცავს თავისში საღმრთო ისტორიასა ძველისა და ახლის აღთქმისასა. მეორე ნაწილი შეიცავს ისტორიასა ძველთა ნათესაეთა, ვითამც მეგობრულთა, ასურთა, მიდთა, სპარსთა, ბერძენთა და მაკედონელთა. მესამე ნაწილი შეიცავს ისტორიასა, ქართველთა, რომაელთა და მართლმადიდებელთა. მეოთხე ნაწილი შეიცავს ქრონიკებრივ ისტორიასა საშუალო საუკუნისასა. მეხუთე ნაწილი შეიცავს ახალს ისტორიასა საზოგადოდ ხოლო მეექვსე ნაწილი შეიცავს ისტორიასა მერობის ნათესაეთა თვითოეულად, ვითამც ისტორიასა რუსეთისას, შრანგი ტანისას, ანგლიისას, ისპანიისას, პორტუგალიისას, დანიისას, შვედისას, ბოლანდიისას, ბერმანიისას, შვეიცარიისას, იტალიისას, და სხვა. სასოფლო შკოლების ყრმათათვის. 60 —

ი. ბვირგინი წამებულთა წმიდა მსტატი გინა ლექსად ნათქვამი ცხოვრება წმიდისა მსტატის; პოეზია ჩხ. მუხლი (შაირი). 50 —

ია. შვეილების კონ. ყრმათა, გინა რჩეული ლექსები, განყოფილი ორ ნაწილად. პირველი ნაწილი შეიცავს თავისში ღვთის მსახურებრივს სასულიერო ლექსებსა, ხოლო მეორე ნაწილი ქვეყნიურს ლექსებსა. 40 —

ამათ გარდა ისყიდებიან ზემოხსენებულს ადგილებში შემდეგი წიგნებიცა, რომელნიც დაიბეჭდენ საქართველოს რომისა და სომხის კათოლიკეთათვის.

ა. თან სატარებელი ლოცვის წიგნი, რომელი იპყრობს თვის შორის საყოფელ-დღივო სხვა-და-სხვა მშვენიერ ლოცვებს. 60 —

ბ. წალკოტი ლოცვათა, რომელი შეიცავს თავისში მრავალთა სხვა-და-სხვა რჩეულთა და ფრიად სახმარათა ლოცვათა. 25 —

გ. საქრისტიანო მოძღვარება გინა კათეხიზი. 25 —

დ. პატარა საქრისტიანო მოძღვარება ქართული ანბანით წერილ ყრმათათვის.

მსკონტი ასში ათი არის; მხოლოდ იმ პირისათვის ვინც ზემოდ ხსენებული სხვა-და-სხვა ნაირი წიგნისაგან არჩევით იყიდის ასს კოპიოსა, და ანუ მაინც ერთი რომელიმე მთვანისაგან ოც-და-ათს ანუ ნამეტანს კოპიოს ერთიანად.

ამ ზემოხსენებული წიგნების გამოწერა შეიძლება მიწერით და წარგზავნით საყიდელი წიგნების ფასისა გამსყიდველთაღმი წიგნთა ამათ ანუ მონთობანში და ანუ სტამბოლში შემდეგი ადრესებითა, მაკალითად:

„უფალს რუბენ-ალა ჰოქოციანს გამსყიდველს ქართული წიგნებისა, მონატერში მონაზონთა ერთობისაგან მონათა უმანკო ჩასახებისათა, ქალაქს მონთობანს (FRANCE) Montauban, Rue du Cimetière catholique, Tarn-et Garonne.“

ული ქრეასლებიდან ქრეასლები — სტორაგი საქონელი გაუფრთხილები ქრეასლები ბინაზედ, ჩვენის ხარჯით, რომელსაც ვამწესებთ ხონ-მდინ ფუთზედ — 50 კაპეიკი და მსურვეთში ფუთზედ — 75 კაპეიკი. ჩვენზედ ჩაბარებული საქონლისა ნაკლებობა ან დაკარგვის ვალდებული ვხდებით, პირობისამებრ, მოვძღვოთ თანახმად მოვაჭრეებისა.

ბანტორა იმყოფება: პირველი — თფილისში (ქორემაზის ქრეასლა № 1) და მეორე — სამტრედიის სტანციასზედ. 2-რე გილი.

ბარსევან ი.გ. რატიანი. (4—4)

გამგზავლი კომიტეტი თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შესაფხვნელად შეუძლებლთა მოსწავლეთათვის ამით აცხადებს, რომ არძების შემოტანა ბავშვების მიღებაზედ შკოლაში ამ წლის სექტემბრიდან შეიძლება ივნისის ათიდან აგვისტოს ოც-და-ხუთამდე. არძასთან საქროა იყოს წარმოდგენილი ნათლობის მოწმობა ან კანტორის, ან ადგილობრივი მღვდლისა. არძებს მიიღებს ვიცე-პრედსედატელი გამგებელი კომიტეტისა თავ. ღვით ივანეს ძე ავალი-შვილი თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ბანკში და შკოლის მასწავლებელი უ. შაფიანი თვით შკოლის სადგომში, რომელიც იმყოფება ქუკიაში, აკურის ქუჩაზე, თქათაქიშვილის სახლებში. (6—5)

გამოვიდა და ისყიდება „ბუბიაოზა“ ვოდველი აკაკი შირათლისა ისყიდება ჩარკვიანის, პართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მალაზიებში, აგრეთვე უფ. შავერდოვის ბაზეთის სააგენტოში, ბულვარზე.

ბანსხალეზანი

პატრე გვაქვს გამოუცხადოთ უფ. ხონისა და აგრეთვე მსურვეთის მოვაჭრეებს: ივნისიდან თფილისში ჩაბარე-

რძ. გზა.	დლა.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელერაში	მან კაპ.	მაზანდა	მან კაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი	9 21	5 18	8 კაპ.	8 კაპ.	მ.ცი სიტყვა თფილისიდან		თფილისი 22 ივნისს.		მრგენ. მ.იდან., წინ. მძღვაროვ. სახლ.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ქავასის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	50	შქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	220	აქამყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდან 10-დინ.
ბორი	11 58	9 43	3	1 53	როსტოვს, მდესას, მოსკოვს, პეტერბურღს, პარშავს	2	შქვ. წითელი	170	მ.რ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი და ბარ. ლევიჩი — შინაგ. ავთოყოფობის.
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	მსხალეუში, შვეიცარიასი	3	ბამა პრეგნისა, ფუთი.	820	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი და ბ.ბოგი — გულისა და შინაგ. ავთოყოფობის.
სურამი	1 44		4 90	2 61	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ბაენტილი ბამბა ფუთი.	10 70	მყოფ.; რეიხი — თვალის, შურავ-ლევი — კანისა და ვენერიულის.
შერილა	5 49		7 21	3 69	ინგლისში	3 75	მატყელი თუშური ფუთი.	820	ბახუტოვი — ქალისა და ბავშვების.
რონი	6 57		8 44	4 31	ვოხბა		მ.რამკისა ფუთი	4 30	მ.ხ შ ა ბ ა თ ი: ლისიცივი — შინაგ., ბაბაევი — ნერვების.
სამტრედია	7 51		9 66	4 93	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთისს, რუსეთს — კოველ დღე კვირს გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მსურ. — პარასკ. და ორშ. ბახუტოვი — სამშ. და შაბ. ბ) მუთაი-ლიდამ: თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე კვირას გარდა. მსურ-გეთს — ორშ. და პარასკ.		აბრეშუმ. ნუხური სტ.	2 10	ს უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი — შინაგ. ავთოყოფობის.
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47	წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ:		მონის სანთელი ფუთი.	5 80	ნაგ. ავთოყოფ. და შურავლევი — კანის და ვენერიულის.
ვოთი	9 50		12 24	6 26	ლა წიგნის		სტეარინის სანთელი ფ.	12 40	შ ა რ ა ს კ ე ვ ს ი ე ნ ბ ი ა ნ: ლისიცივი, ბაბოვი, ბაბაევი და ბახუტოვი.
შოთი	9 3				დაბ ჯდლის (სამი მ.სხალი)		— ცხროსა, ლიტრა	90	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი. რეიხი და შურავლევი.
ახალ-სენაკი	10 14		1 53	7 8			სპირტი ვერო	4 50	მ.რ ბეგბტი — კბილის ექიმი და ბაბაევი მიიღებენ შინ, ღარიბებ მუქთად.
სამტრედია	11 5		2 61	1 33			შაქარი ბროც. ფუთ	7 10	
რიონი	12 13		3 84	1 97			— ფხნილი ფუთი	5 70	
შერილა	1 18	ლაშე.	5 3	2 56			შაგა რგვალი გრვ	6 5	
სურამი	5 12		1 10	7 34			შეთი ქუნჯუთისა ფუთი.	11 80	
ხაშური	5 39		1 37	7 51			თამბკუ საშუა ო ფთ.	6 50	
ბორი	7 5		4 8	9 24					
მცხეთა	8 50		6 59	11 39					
თფილისი	9 31		7 56	12 24					